პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 პარასკევი 24 დეკემბერი № 303 (16733) ფასი 2 კაპ. 1976

მთელი ძალღონე მოვახმაროთ მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ყოველმხრივ ამაღლებას, წარმოების რეზერვების გამოყენებას, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საბოლოო განჯანსაღებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში საახალწლო ვაჭრობის ორგანიზაციის ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილება საქართველოს სსრ ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, ცეკავშირის გამგეობას, სავაჭრო ქსელის მქონე სხვა ორგანიზაციებსა და უწყებებს ავალებს დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი რესურსების მაქსიმალური მობილიზაციისათვის და რაც შეიძლება სრულად უზრუნველყონ საახალწლო ვაჭრობის დღეებში მოსახლეობის მოთხოვნილება საჭირო სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, არ დაუშვან შეფერხება იმ საქონლის რეალიზაციაში, რომელიც საკმარისი რაოდენობით გვაქვს, ჯეროვნად მოამზადონ საცალო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების ქსელი და საკოლმეურნეო ბაზრები საახალწლო ვაჭრობისათვის.

ახალწლისწინა და ახალი წლის დღეებში უფრო ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული მომსახურების პროგრესული მეთოდები, ყველგან დაინერგოს დატარების ვაჭრობა, მოეწყოს ნახევარფაბრიკატების, კულინარიული და საკონდიტრო ნაწარმის გამოფენა-ვაჭრობა, უნდა უზრუნველყოთ საქონლის შინ მიტანით და წინასწარი შეკვეთებით ვაჭრობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უშუალოდ სამრეწველო საწარმოებსა და მუშათა დასახლებებში საახალწლო ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხებს.

შეუნელებელი კონტროლი უნდა გავუწიოთ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობას, შევქმნათ იქ მაქსიმალური პირობები საოჯახო საახალწლო შეხვედრების მოსაწყობად, უზრუნველვყოთ შინ საახალწლო საღამოების ყოველმხრივი მომსახურება, მივაღწიოთ, რომ საახალწლო დღესასწაულის დღეებში მშრომელთა სანიმუშო მომსახურება მომსახურების სფეროს ხელმძღვანელების, თვითეული კოლექტივის ყველა მუშაკის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდეს.

ხორცისა და რძის მრეწველობის, კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და დამზადების სამინისტროები მოვალენი არიან მაქსიმალურად გამოიყენონ რეზერვები, გაზარდონ სასურსათო საქონლის წარმოება, გაფართოონ მისი ასორტიმენტი და უზრუნველყონ თბილისის, რუსთავის, ქუთაისისა და სხვა სამრეწველო ცენტრების სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მათი მიწოდება, რათა მთლიანად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება ხორცზე, ძეხვეულზე, ყველზე, კარაქსა და რძის სხვა პროდუქტებზე, კვერცხზე, კარტოფილზე, პურის ფქვილზე, ლიმონათზე, მინერალურ წყლებსა და ლუდზე, გავზარდოთ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ახალი საქონლის ხორცის, ფრინველის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ხილის, ციტრუსების, ღვინის, სიმინდის ფქვილის, ლობიოსა და სხვა პროდუქტების მიწოდება.

საჭიროა ეფექტიანი ღონისძიებანი განხორციელდეს ტაბილეულის, შოკოლადისა და ხილ-კენკრის კამფეტის და სხვა ნაწარმის წარმოების მნიშვნელოვანი გაზრდისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის. უნდა უზრუნველვყოთ დაფასებული სახით და სადღესასწაულოდ გაფორმებული სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეგულარული წარმოება და სავაჭრო ქსელისათვის მიწოდება.

საქთევზმრეწვის სამმართველომ და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველომ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა საახალწლო დღეებში მკვეთრად გაზარდონ სავაჭრო ქსელში ახალი და შებოლილ-გამოყვანილი თევზის მიწოდება.

ცეკავშირის გამგეობამ უნდა გააუმჯობესოს მუშაობა, რათა უკეთ მოამარაგოს რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობა საჭირო სასურსათო საქონლით, უზრუნველყოს კოოპვაჭრობის მაღაზიებში სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების რეალიზაციის მკვეთრი გადიდება.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო მოვალეა უზრუნველყოს ტრანსპორტის დროული და რიტმული მიწოდება ბაზებიდან, მაცივრებიდან, კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან სავაჭრო ქსელში სურსათის შესაზიდად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა რესპუბლიკის სასოფლო რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ინიციატივა, რომ რესპუბლიკის ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების საკოლმეურნეო ბაზრებში მოეწყოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების საახალწლო ვაჭრობის კვირეული.

სახალხო კონტროლის კომიტეტს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, სავაჭრო ქსელის მქონე სხვა ორგანიზაციებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ ქმედითი კონტროლი დაუწესონ საახალწლო ვაჭრობის მდგომარეობას, არ დაუშვან სახელმწიფო საცალო ფასების დარღვევა და სხვა ბოროტმქმედებანი, სისტემატურად შეამოწმონ სავაჭრო ქსელში სასურსათო საქონლის მიღება, ოპერატიულ ღონისძიებებს მიმართონ მოსახლეობის მომარაგებაში შეფერხების ფაქტებისა და სხვა უწესივრობის ლიკვიდაციისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ საჭიროა გადაჭრით აღმოვფხვრათ დარღვევები საკოლმეურნეო ვაჭრობის ორგანიზაციაში, მივაღწიოთ, რომ მთელი შემოზიდული პროდუქცია უშუალოდ მიდიოდეს მომხმარებლამდე, ყოველგვარი გზები დავუხშოთ გადამყიდველებსა და სპეკულანტებს.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების აღმასკომები მოვალენი არიან კონკრეტული ღონისძიებანი განახორციელონ საახალწლო ვაჭრობის სანიმუშოდ ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის, ქმედითად დაეხმარონ სავაჭრო ორგანიზაციებს მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების, მისი ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეში.

რესპუბლიკური, საქალაქო და ადგილობრივი გაზეთები, რადიო და ტელევიზია მოვალენი არიან სისტემატურად გააშუქონ საახალწლო ვაჭრობისათვის მზადება და მისი ორგანიზაცია, ამხილონ ნაკლოვანებანი, ფართოდ განაზოგადონ იმ კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკების გამოცდილება, რომლებიც უზრუნველყოფენ მშრომელთა კარგ მომსახურებას. (საქინფორმი).

თბილისის მრეწველობამ ვადამდე გაანაღდა წლიური გეგმა

ქალაქ თბილისის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვადამდე, 23 დეკემბერს გაანაღდეს უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების 1976 წლის გეგმა.

გეგმის ვადამდე შესრულების საქმეში თავი გამოიჩინეს „ელექტროაპარატის", „ჩარხსაშენებელი", ტყავსაწარმოო, „თბილისღვინოს", „საქნავთობის" გაერთიანებების, № 2 და №3 ტრიკოტაჟის ფაბრიკების, ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, „ნადიკვრის", 1 მაისის სახელობის, სამოდელო ფეხსაცმლის, ჩაის საწონი ფაბრიკების, ცხიმკომბინატისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა. (საქინფორმი).

მიხი კალენდარით ახალი წელია

თბილისის № 2 სატრიკოტაჟო ფაბრიკის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა წლიური დავალება. საწარმოში დამზადებული მამაკაცის, ქალისა და ბავშვის სატრიკოტაჟო ნაწარმი ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს. წლიურს მეთაურ საწარმოში უკვე ამუშავდა საგამომჭრელო, საშკერავლო საამქროები, გასაწყობი უბანი და მზა პროდუქციის საწყობი. მარტო წელს 26 სახის ახალი პროდუქცია დაინერგა.

სურათზე: მოწინავე მქსოველი ლ. კოკიაური, რომელმაც ჯერ კიდევ საოქტომბროდ უპატაკა წლიური გეგმის შესრულება. მის მიერ დამზადებული პროდუქცია საუკეთესო ხარისხისაა.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ლ. კორვალანი

23 დეკემბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი** შეხვდა ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს **ლუის კორვალანს.**

ლ. ი. ბრეჟნევი გულთბილად, ძმურად მიესალმა ამხანაგ ლ. კორვალანს — ჩილეს სახელოვანი კომპარტიის ხელმძღვანელს. მან ლ. კორვალანს მიულოცა განთავისუფლება სამ წელზე მეტი ხნის პატიმრობის შემდეგ. მოხარული ვართ, თქვა ლეონიდ ილიას-ძემ, რომ მძიმე განსაცდელმა ვერ გაგტეხათ და საპატიმროშიც კომუნისტის სიმტკიცის მაგალითი იყავით, თქვენი ვაჟკაცობით ჩილელ ხალხს შთააგონებდით ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლას.

ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, მოდის ათიათასობით დეპეშა და წერილი ჩვენი საბჭოთა ადამიანებისაგან და სხვა ქვეყნებიდან. თქვენი განთავისუფლება მათ მიაჩნიათ სოლიდარობის მსოფლიო მოძრაობის დიდ გამარჯვებად, რომელშიც აქტიური როლი შეასრულეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხებმა, საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ. თქვენი განთავისუფლება მოწმობს იმ უდიდეს შესაძლებლობებს, რომლებიც აქვთ კომუნისტურ მოძრაობას, დემოკრატიისა და პროგრესის ძალებს, როცა ისინი შეკავშირებულად მოქმედებენ.

ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ ლუის კორვალანის განთავისუფლება მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც, უეჭველია, დიდ ზეგავლენას მოახდენს კომუნისტების, ყველა დემოკრატის ბრძოლის, რევოლუციური მოძრაობის გააქტიურებაზე ჩილესა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და თავიანთი განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხთა ძმური სოლიდარობის პრინციპი, ხაზი გაუსვა ლ. ი. ბრეჟნევმა, ჩვენი პარტიისათვის წმიდათაწმიდაა. ამიტომ კვლავაც დავუხმარებთ, ყოველნაირ მხარდაჭერას გავუწევთ თქვენს პარტიას, ჩილეს სხვა ანტიიმპერიალისტურ ძალებს, თქვენს სამშობლოში თავისუფლებისა და დემოკრატიის აღდგენისათვის ბრძოლაში. ჩვენი პარტია მუდამ იქნება მებრძოლი ჩილელი ხალხის მხარეზე.

ამხ. ლ. კორვალანმა გულითადი მადლობა გადაუხადა ლ. ი. ბრეჟნევს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა კავშირის ყველა კომუნისტსა და მშრომელს, მსოფლიოს მთელ დემოკრატიულ წრეებს ესოდენ ფართო და ქმედითად რომ უწევენ სოლიდარობას ჩილეს კომუნისტებსა და სხვა პროგრესულ ძალებს, რომლებიც იბრძვიან სამხედრო-ფაშისტური ხუნტის დამხობისათვის, სამშობლოს დემოკრატიული განვითარებისა და სოციალური პროგრესისათვის.

მოსკოვში ჩამოსულმა, თქვა ლ. კორვალანმა, მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ ყველაფრისათვის, რაც საბჭოთა ადამიანებმა იღონეს ჩემს გასათავისუფლებლად, ყველაფრისათვის, რაც გააკეთეს და გააკეთებენ სხვა პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებისათვის. ჩემთვის მეტად სასიამოვნო იქნებოდა, რომ შემეძლოს ხელი ჩამოვართვა ყველას, მადლობა გადავუხადო თვითეულ საბჭოთა ადამიანს ჩილელი ხალხისადმი გაწეული უდიდესი სოლიდარობისათვის. ჩვენ, თქვა ამხ. ლ. კორვალანმა, საპატიმრო გისოსების, საკონცენტრაციო ბანაკების მავთულხლართების მიღმაც ვიღებდით ცნობებს, თუ რა ფართო სოლიდარობის მოძრაობა გაიშალა ჩილესადმი, და კარგად ვიცით, რომ უკანასკნელი წლების მახვილზე განთავისუფლებულმა ასობით პოლიტიკურმა პატიმარმა თავისუფლება, უწინარეს ყოვლისა მიიღო საერთაშორისო სოლიდარობის მოძრაობის მეოხებით, საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების ღონისძიებათა მეოხებით, პარლამენტების, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დემოკრატიული ორგანიზაციების გამოსვლების მეოხებით.

ამხ. ლ. კორვალანმა თქვა, რომ იგი განსაკუთრებულ მადლობას უძღვნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს ყველაფრისათვის, რაც პირადად გააკეთა მისი განთავისუფლებისათვის. ჩვენ, აღნიშნა ლ. კორვალანმა, კვლავაც შევასრულებთ ჩვენს რევოლუციურ მოვალეობას, ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ჩილე რაც შეიძლება მალე კვლავ დემოკრატიის ქვეყანა გახდეს.

ლ. კორვალანმა მხურვალედ მიულოცა ლ. ი. ბრეჟნევს დაბადების 70-ე წლისთავი, უსურვა ჯანმრთელობა, შემდგომი წარმატებები სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ლ. ი. ბრეჟნევმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ თავისუფლებისა და პროგრესის საქმე, რისთვისაც თავდადებით იბრძვიან კომუნისტები, დემოკრატიული ძალები, ჩილეს პატრიოტები, უთუოდ გაიმარჯვებს.

შეხვედრამ ძმურ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

სურათზე: შეხვედრის დროს. საკდესი-საქინფორმის ტელეფოტო.

ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლე ზუანს

ძვირფასო ამხანაგო ლე ზუან!

გულითადად მოგილოცავთ ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ძაღლ და პასუხსაგებ პოსტზე არჩევას. მინდა აგრეთვე მოგილოცოთ თქვენ და ყველა ვიეტნამელ ამხანაგს ვიეტნამის კომუნისტთა IV ყრილობის წარმატებით დამთავრება.

ჩვენ დიდი ყურადღებით და ინტერესით ვადევნებდით თვალს მის მუშაობას. ამ ყრილობას, ეჭვი არ არის, ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი განამტკიცებს ვიეტნამელი ხალხის სახელოვანი გამარჯვების შედეგებს, რომელიც მან მოიპოვა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში იმპერიალისტი აგრესორებისა და მათ ხელშემწყობთა წინააღმდეგ, საბავს სწორ გზას ძარქსისტულ-ლენინური იდეალების, ხო ში მინის ანდერძის განხორციელებისათვის ვიეტნამის მიწა-წყალზე, დასაბამს აძლევს ერთიან ვიეტნამში სოციალისტური მშენებლობის ერას.

როგორც თქვენი თანამებრძოლნი და მეგობრები, სიტყვას ვაძლევთ ვიეტნამელ კომუნისტებს, რომ ჩვენი პარტია არ დაიშურებს ძალ-ღონეს, რათა საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ნაცადი მეგობრობა წლითიწლით იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, სოციალისტური ქვეყნების, თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალების ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომი განმტკიცების საკეთილდღეოდ.

კომუნისტური ხალმით

ლ. ბრეჟნევი.

ამხ. ლ. კორვალანი მოსკოვში

23 დეკემბერს მოსკოვი გულითადად შეხვდა საბჭოთა კავშირში ჩამოსულ ჩილესა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, ჩილეს კომპარტიის გენერალურ მდივანს ლუის კორვალანს. ჩილელი ხალხის ერთგული შვილს აეროპორტში ძმურად მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ა. ი. შიბაევი. შემხვედრთა შორის იყვნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, ქალაქ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირში მოწვეული ლათინური ამერიკისა და სხვა ქვეყნების სტუდენტები. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიის წევრები გ. მარინი, ო. მილიასი, ა. სორილია, ვ. ტეიტელბოიმი, ჩილეს სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ხ. სუარესი, ჩილეს მუშურ-გლეხური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ხ. ესტევესი.

ამხ. ა. პ. კირილენკო ამხ. კორვალანს მხურვალედ მიესალმა ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით და მიულოცა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში ჩამოსვლა.

ამხ. ლ. კორვალანმა მადლობა გადაიხადა გულითადი შეხვედრისათვის. მესმის, თქვა მან, რომ ეს შეხვედრა უწინარეს ყოვლისა არის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობის გამოვლინება, რომელიც ჩვენი პარტიის დაარსების დროიდან აკავშირებს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ჩილეს კომპარტიას. მესმის, რომ ის სიყვარული, რომლითაც აქ ვარ გარემოსილი, უწინარეს ყოვლისა ჩილელი ხალხისადმი გრძნობების გამოხატვაა. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ საბჭოთა ადამიანები სოლიდარობით ეკიდებიან თავისუფლებისათვის ჩვენს ბრძოლას.

ლ. კორვალანთან შეხვედრა ჩილელი ხალხისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ყველა საბჭოთა ადამიანის სოლიდარობის შესანიშნავ დემონსტრაციად გადაიქცა. (საკდესი).

„გოელროს" პირმშოს — ლენინის ორდენი

ვოლხოვი (ლენინგრადის ოლქი), 22 დეკემბერი (საკდესი). ვოლხოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის დროშას დღეს ვ. ი. ლენინის ორდენი მიამაგრეს. ეს მაღალი ჯილდო, რომლითაც აღინიშნა „გოელროს" პირმშოს დიდი ღვაწლი საბჭოთა ჰიდროენერგეტიკის განვითარებაში, სადგურის კოლექტივს საზეიმო კრებაზე გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ვ. რომანოვმა. მან სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით გულითადად მიულოცა ენერგეტიკოსებს ჯილდო და უსურვა ახალი შრომითი წარმატებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო პარტიული და საბჭოთა მუშაკი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი

რაფიელ არტემის-ძე კვირკველია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ახალი ძალებით

ენთუზიაზმისა და შრომითი ალმავლობის ვითარებაში ჩაიარა მიტინგმა თბილისის კერამიკულ კომბინატში, სადაც შეაჯამეს საწარმოს კოლექტივის მუშაობის პირველი წლის შედეგები.

მიტინგი გახსნა კომბინატის პარტბიუროს მდივანმა თ. თავართქილაძემ, რომელმაც თქვა, რომ საწარმოს კოლექტივმა ვადამდე გაანაღდა წლიური გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი. ეს წარმატება მომავალი წლის კიდეკ უფრო ეფექტიანი მუშაობის საფუძველი უნდა გახდეს. ამ აზრს ხაზგასმით აღნიშნავდნენ თავიანთ გამოსვლებში საწარმოს დირექტორი თ. აგლაძე, მუშები ს. კონტრიძე, ა. მენთეშაშვილი, ვ. უშაკოვი, მათ თქვეს, რომ ოქტომბრის 60 წლისთავის საიუბილეო წელს დიდი მუშაობა მოუწევთ, რისთვისაც უნდა დარაზმონ

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისათვის სამშობლოს უმაღლესი ჯილდოს გადაცემას

□

მთელი ძალები, მთელი ენერგია, რათა რევოლუციის იუბილეზე შრომითი ნობათი მიაგებონ სამშობლოს.

ჩვენი წარმატებები, აღნიშნეს მიტინგის მონაწილეებმა, განუყოფელია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის მომდინარე საყოველთაო სახალხო ბრძოლისაგან, რომელსაც სათავეში უდგას სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი. ჩვენ ყველანი უდიდესი ყურადღებით ვადევნებდით თვალყურს ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმობას კრემლში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმების სიტყვებში გამოხატულია ჩვენი გრძნობებიც, ჩვენი ღრმა პატივისცემაცა და მადლიერებაც ლეონიდ ილიას-ძისადმი, ასე თავდადებით რომ შრომობს ხალხის საკეთილდღეოდ.

* * *

მიტინგები გაიმართა აგრეთვე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოში", მოდელის ფეხსაცმლის ფაბრიკაში, ლენინის სახელობის მინისა და ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხნებში, ავიასაწარმოში, 1-ლ საქალაქო საავადმყოფოში, სხვა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო პარტიული და საბჭოთა მუშაკი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი

რაფიელ არტემის-ძე კვირკველია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ჟიათურელ მაღაროელთა შეჯიბრება

დღევანდელი რეკორდი — ხვალინდელი ნორმა!

არც ერთი ჩამორჩენილი!

მეტალურგიულ პურს უწოდებენ მანგანუმის მადნს. ალბათ ალბა არ არის გასაკვირველი, რომ რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტული თაოსნობა — „არცერთი ჩამორჩენილი და შრომის დისციპლინის დამოდეგი ჩვენს გვერდით“ პირველად ჟიათურელმა სამთოელებმა აიტაცეს.

ახალი თაოსნობა კონკრეტული, პრაქტიკული საქმიანობის დევიზად იქცა და აქ იმკიან კიდეც შრომის შედეგებს. ეს სიტყვები ერთნაირად ეკუთვნის ქართული მანგანუმის ყველა საწარმოს, მთლიანად ლენინის ორდენოსან სამთამადნო კომბინატს. ეკუთვნის იმიტომ, რომ ქართველმა მადნის მომპოვებლებმა და გამამდიდრებლებმა მრავალზის მოიპოვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება, სულ მალე კი მთ შრომით კალენდარზე ახალი წლის ფურცელი გადაიშლება.

ლენინის სახელობის მაღარო ერთ-ერთი უდიდესი სამთო საწარმოა ჟიათურაში. მისი კოლექტივის შუქი და ჩრდილი მკვეთრ გავლენას ახდენს სამთო კომბინატის მთელ მაჩვენებლებზე. ამის ნათელსაყოფად ისიც კმარა, რომ ლენინელებმა თერმეტ თვეში 1.124.933 ტონა მადანი გამოიღეს მიწის გულიდან.

ჩვენი საწარმოს წამყვანი ადგილი, — თქვეს საუბარში მაღაროს დირექტორმა ა. თვარაძემ და პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. გოგაძიშვილმა, — ბევრს გვავალებს. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ მიღწეულ ყველა თვალს უსწორებს, და ის უთუოდ სანიმუშო უნდა იყოს. ასეც არის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი დიდი გადაჭარბებით გავანაღდეთ. 4.500 ტონა ზეგეგმითი მაღალხარისხოვანი ძანგანუმის ნაცვლად, თერთმეტ თვეში მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნეთ 6.367 ტონა კონცენტრატი.

ისე ნუ წარმოიდგენს მკითხველი, თითქოს ეს სამეურნეო შედეგები ხელოვნურად მივუსადაგეთ რუსთაველთა ინიციატივას. მეტალურგთა პატრიოტული მოწოდება კეთილმყოფელ გავლენას მაშინვე დარწმუნდებით, როდესაც ამ საწარმოს მშრომელთა წლევანდელ საქმიანობას გაეცნობით.

ნათქვამია ლაქმი მზესაც აქვსო. ეს ხალხური გამოთქმა დიდებული ტრადიციების მქონე ლენინის მაღაროსაც ეხება. როდესაც რუსთაველთა ინიციატივას განიხილავდნენ, მაშინ ამ ლაქებზე ბევრი რამ პირუთვნელად ითქვა. მიუხედავად შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებისათვის გაწეული დიდი მუშაობისა, მაღაროში მოხდა სამეშაოს გაცდენისა და დაგვიანების 70 შემთხვევა.

23 დეკემბერი

„პრავდის“ ფურცლებზე

„საყოფაცხოვრებო მომსახურება — სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა დარგი — დინამიურად ვითარდება. განვლილ ათ წელიწადში მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად დაბანდებულია დაახლოებით 3,4 მილიარდი მანეთი. ახალ ხუთწლედშიც ამ მხრივ გათვალისწინებულია დიდი სახსრები, — ეკითხულობთ მოწინავე წერილში „საყოფაცხოვრებო მომსახურებას — უნარიანი კადრები“ — ...მომსახურების ინდუსტრიის განვითარება ძნელია წარმოვიდგინოთ უახლესი ტექნოლოგიის, თანამედროვე მოწყობილობათა დაუნერგავად. მის მუშაკებს მოეთხოვებათ ღრმა პროფესიონალური ცოდნა, მაღალი კვალიფიკაცია... „პრავდის“ ფოსტაში ჯერ კიდევ ცოტა როდია სიგნალები საყოფაცხოვრებო მომსახურების დაბალი დონის შესახებ. ზოგჯერ შემკვეთნი დარგის საწარმოებში უტაქტობას, მათი ინტერესებისადმი უსულგულო დამოკიდებულებას და აშკარა ხალტურასაც კი აწყდებიან“. წერილში გაანალიზებულია მომსახურების სფეროში კადრების დენადობის პრობლემები, დასახულია მათი გადაჭრის გზები — „სკკპ **XXV ყრილობამ აღნიშნა მოსახლეობის საარსებო მოთხოვნების მთლიანად დაკმაყოფილების აუცილებლობა, მისი მზარდი შემოსავლების სათანადო რაოდენობის მაღალი ხარისხის სახლეობო მომსახურების საგნებითა და მომსახურებით უზრუნველყოფა. ამ პასუხსაგები ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მომსახურების სფეროს მშრომელთა საპატიო მოვალეობაა“.**

გაზეთი განაგრძობს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70-ე წლისთავის გამო მისადმი გულითადი მისალმებების ბეჭდვას, რომლებიც მიღებულია ჩვენი ქვეყნის მშრომელებისაგან, მსოფლიოს გამოჩენილი მოღვაწეებისაგან.

პირველ გვერდზე განყოფილებებში — „ზამთარი მოსავალს ამზადებს“, „შეჯიბრების დღიური“, „იმ საწარმოთა კოლექტივებში, რომლებზეც თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე“ — მოთავსებული მასალები გვაცნობენ ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მუშაკთა წარმატებებს ხუთწლედის პირველი წლის ბოლოსათვის.

სახალხო კონტროლის გვერდში ლაპარაკია საიანის ენერგეტიკული გიგანტის მთავარი ობიექტების მშენებლობის, მეურნეობის საკითხებზე, გაჭუჭყიანებისაგან გარემოს დაცვის პრობლემებზე, ბამის მშენებლობის საამქრო ტექნიკით უზრუნველყოფის აუცილებლობაზე. მკითხველი ნომერში წაიკითხავს აგრეთვე სკკპ სვერდლოვსკის ოლქის პირველოსანის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის **ბ. მოროზოვის** წერილს **„როგორ აღვზარდოთ წინამძღოლი“**, მწერალ **იური გრიბოვის** ნარკვევს **„ლენქორანის ნობათები“**, საზღვარგარეთისა და ჩვენი ქვეყნის ახალ ამბებს.

PRAVDA

ენერგეტიკოსთა დღესასწაული

მოსკოვში

მოსკოვში გაიმართა ენერგეტიკოსის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. აქ შეიკრიბნენ დარგის საუკეთესო მუშაკები, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი, სპეციალისტები, დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო და მისი მეთაური სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

საღამოზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ტ. ნოვიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ე. ი. ბორისოვმა. მან თქვა, რომ წელს ქვეყნის ელექტროსადგურები გამოიმუშავებენ რეკორდული რაოდენობის ელექტროენერგიას — ტრილიონ ას მილიონ კილოვატსაათზე მეტს.

საღამოზე ერთსულოვნად მიიღეს წერილი, რომელშიც მიესალმნენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

(საკვლევი).

თბილისში

ენერგეტიკოსის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება გაიმართა თბილისის შოთა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრში. იგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ელექტროსადგურებისა და ელექტრონტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ბაკურაძემ.

საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის თავადი საწარმოო სამმართველოს უფროსმა უ. ცქვიტინიძემ.

კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს წევრი კ. გაგნიძე, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის უფროსი ოსტატი ვ. გოდერძიძე, კავკასიის „ელექტროსეტმშენის“ ტრესტის მთავარი ინჟინერი ა. გიგინეიშვილი, რესპუბლიკის ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სექტორის გამგე მ. ღოღობერიძე, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ა. კასრაშვილი.

კრებას დაესწრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. კოკინაძე. (საქინფორმი).

„სსრ კავშირ-ჩილეს“ საზოგადოების მაგვეოების სხდომა

23 დეკემბერს მოსკოვის მეგობრობის სახლში გაიმართა „სსრ კავშირ-ჩილეს“ საზოგადოების გამგეობის გაფართოებული სხდომა.

განხილეს საზოგადოების 1975-1976 წლების საქმიანობა. აღინიშნა, რომ საზოგადოების აქტივისტები ფართოდ მონაწილეობენ ფაშისტური ხუნტის წინააღმდეგ, ჩილეში დემოკრატიისა და თავისუფლების აღდგენისათვის ჩილელ დემოკრატთა ბრძოლისადმი სოლიდარობის კამპანიაში.

„სსრ კავშირ-ჩილეს“ საზოგადოების პრეზიდენტად არჩეულია ცნობილი კინორეჟისორი სოციალისტური შრომის გმირი რ. ლ. კარმენი. (საკვლევი).

სრულიად კავშირგაბმულობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების

დარგობრივი პროფკავშირის XIV რესპუბლიკურ კონფერენციაზე

მუშაობის სპეციფიკით კავშირგაბმულობის დარგი ახლოს დგას მომსახურების სფეროსთან, მისი მრავალი პრობლემა უშუალოდ არის დაკავშირებული სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგისა და მოსახლეობის ინტერესებთან. სწორედ ამ ამოცანებსა და პრობლემებზე გაიმართა საქმიანი სჯა-ბაასი კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის XIV რესპუბლიკურ კონფერენციაზე, რომელზეც საანგარიშო მოხსენება გააკეთა კომიტეტის თავმჯდომარემ კ. კარგარეთელმა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა — საქალაქთაშორისო სადგურის ტელეფონისტმა კ. ნასონოვამ, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა ვ. კობახიძემ, კავშირგაბმულობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ მ. ინაურმა, კავშირგაბმულობის ქუთაისის კვანძის დამხარისხებელმა გ. მოსიაგამ, რადიოცენტრის კომუნისტური შრომის საწარმოს ადგილკომის თავმჯდომარემ რ. მიქელაშვილმა, ფოსტამტის უფროსმა გ. გელაშვილმა, აჭარის ასსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოო-ტექნიკური სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ს. ვერლანინამ, საკავშირო ქარხანა მრეწველობის დირექტორმა ა. მეავიამ და სხვებმა აღნიშნეს, რომ საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მუშაკებმა სერიოზული წარმატებები მოიპოვეს კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარების, მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მომსახურების გაუჯობესებლობის მუშაობა. გადაჭარბებით შესრულდა მეცხრე ხუთწლედისა და მეათე ხუთწლედის პირველი წლის 11 თვის დავალებანი. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 119 პროცენტით, გაუჯობესდა მუშაობა ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვისათვის, საქალაქთაშორისო გადაეცა ახალი ნახევრადავტომატური სადგური, რეკონსტრუირებული და გაძლიერებული საქალაქთაშორისო არხები, რადიოკავშირისა და რადიომაუწყებლობის საშუალებები, გარკვეული მუშაობა გაწეული სოფლის რადიოფიკაციისა და სატელეფონო საშუალებათა განვითარებისათვის.

ამ წარმატებებში, როგორც ორატორებმა აღნიშნეს, დიდი წვლილი შეიტანეს პროფკავშირულმა კომიტეტებმა და პირველადმა ორგანიზაციებმა. საგრძნობლად ამაღლდა მათი როლი და მნიშვნელობა, ისინი ახლა გაცილებით უკეთ, კვალიფიციურად ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობას, თვითონ საქმიანობას წარმართავენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წ. ივნისის დადგენილების შესაბამისად. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შრომითის კოლექტივებში იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა, ამაღლდა საერთო კრებების როლი და წარმოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობა. დაიბადა მთელი რიგი თაოსნობები, რომლებსაც მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა.

კონფერენციაზე საგულისხმო ციფრები მოიყვანეს. საანგარიშო პერიოდში სოციჯიჯბრებაში გამარჯვებულთა ნიშნებით დაჯილდოებულია 4.600 კაცი. ათასობრით მშრომელი ატარებს ნიშნას „მეცხრე ხუთწლედის დამკვრელი“, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში ჩაბმულია 21.344 მუშაკი, 1.838 ბრიგადა, 990 საამქრო, უბანი, განყოფილება. ამავე პერიოდში კომუნისტური შრომის დამკვრელის ფოდებისათვის მებრძოლთა რიცხვი 58 პროცენტით გაიზარდა. პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის ფართოდ არის გამოყენებული კონკურსები, მოწინავეთა სკოლები და სხვა.

ამ წარმატებებთან ერთად, აღნიშნეს კონფერენციის მონაწილეებმა, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი, რომლებიც იწვევს ზოგიერთ ხარვეზსა და ჩამორჩენას. მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობლად გაფართოვდა და გაუმჯობესდა რესპუბლიკის სატელეფონო ქსელის მუშაობა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი საჩივარი მოდის იმის გამო, რომ თბილისის სატელეფონო ქსელი, საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური, ცნობათა ბიურო, სატელეგრაფო კავშირი დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ. არის დეპეშების დამახინჯებებისა და ადრესატებისათვის დაგვიანებით ჩაბარების შემთხვევები. სხვა დაბრკოლებებთან ერთად ამას როგორც კონფერენციაზე აღნიშნა, იწვევს კვალიფიციური კადრების ნაკლებობაც. ორატორებმა ისიც თქვეს, რომ ჯერ კიდევ ვერ მოწესრიგდა ხელმოწერილებისათვის ჟურნალ-გაზეთების დროულად მიტანა, განსაკუთრებით რაიონებში. დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ გურჯაანის, წითელწყაროს რაიონული კვანძები, ზუგდიდის საექსპლუატაციო-ტექნიკური კვანძი და სხვ. კონფერენციაზე მოიყვანეს მაგალითები, როცა საწარმოთა პროფკავშირული კომიტეტები სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევენ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა პირველადს ორგანიზაციებს, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა პირველადს საბჭოებს.

ორატორები შეეხნენ მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების, საყოფაცხოვრებო პირობების, მუშა-მოსამსახურეთა დასვენების ორგანიზაციის გაუმჯობესების, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებს.

დელეგატებმა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მუშაობა და დამატკიცეს სარევიზიო კომისიის ანგარიში.

კონფერენციამ აირჩია კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, საკავშირო დარგობრივი პროფკავშირის XIII და საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობების დელეგატები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ჩხეიძე, აგრეთვე საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ი. ხაზარაძე და კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ა. რესლერი.

• • •

საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პლენუმმა თავმჯდომარედ აირჩია **კ. კარგარეთელი**, მდივნად — **ფ. შატბერაშვილი.**

ე. მამალაძე.

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლების შემდეგ

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომი

გაზეთ „კომუნისტის“ 16 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ზუმის კოლმეურნეობა „საქართველოს“ ეკონომიტის კომენტარი ა. ლემონჯავას შენიშვნა — „რაიკომი უფრო უნდა გვეხმარებოდეს“, რომელიც მან პირველადი პარტორგანიზაციის სანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გამოთქვა.

საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის ბიურომ სხვა პირველადი პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოთქმულ წინადადებებთან და შენიშვნებთან ერთად განიხილა და სწორად ცნო ზემოაღნიშნული მოსაზრებაც.

ბიურომ დასახა ღონისძიებანი პარტიული ორგანიზაციებისადმი დახმარების გასაძლიერებლად. მუშაობა განაახლა პარტიის რაიკომთან შექმნილმა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სკოლამ. პარტიული ორგანიზაციებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად ადგილებზე სისტემატურად გაიგზავნებიან ხელმძღვანელი მუშაკები, გამოცდილი პარტიული აქტივისტები.

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომი

„კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა რესტორან „თბილისის“ მუშაკის, კომენსიტ ი. პოგრებნიკის შენიშვნა, გამოთქმული პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. იგი აღნიშნავდა, რომ წლების მანძილზე საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთი უდიდესი სასტუმროს უპარტიო ამხანაგების დიდი უმრავლესობა ჩაბმული არ იყო პარტიულ სწავლებაში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად სასტუმროს 250 თანამშრომლიდან 82 გაერთიანებულია პარტიული განათლების ქსელში, დანარჩენი ამხანაგები ჩაბმული არიან ეკონომიური განათლებისა და კომუნისტური შრომის სკოლებში.

რედაქციას უპასუხებს ადიგენის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი

ამას წინათ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ადიგენის რაიონის სოფელ ვარხნის საშუალო სკოლის პედაგოგის ო. ჩხენკელის შენიშვნა „სკოლას დახმარება სჭირდება“. მან ეს მოსაზრება პარტიულ ხაანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გამოთქვა.

შენიშვნა სინამდვილეს შეეფერება. არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად დაიხვა საკითხი განათლების სამინისტროს წინაშე. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია სკოლას მომავალ წელს შეეცვალოს სახურავი და მიეშენდეს სახელოსნო. სკოლის შენობაში მოეწყობა ცენტრალური გათბობა. სკოლამდე მისასვლელი გზის შეკეთება დაეკვალა ვარხნის საბჭოთა მეურნეობას.

სემინარი პროპაგანდისტებისათვის

გუშინ ასზე მეტი მოწინავე პროპაგანდისტი ჩამოვიდა სიღნაღის რაიონიდან ჩვენს დედაქალაქში. აქ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლში ამავე სახლის, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალისა და პარტიის სიღნაღის რაიკომის ინიციატივით ჩატარდა სიღნაღის რაიონის პარტიული და კომკავშირული პოლიტიკური სწავლების, ეკონომიური განათლების ქსელის პროპაგანდისტთა სემინარი თემაზე: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმების შედეგები, საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციული ღონისძიებანი ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებული ზეიმობის გამო პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ ღონისძიებათა შესახებ“ და პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანები“.

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის დირექტორმა რ. დოღონაძემ. მოხსენებებით — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებული ზეიმობის გამო“ — ალაპარაკდნენ ბ. ბერიძე, ნ. ცერცვაძე, მბურღვ ა. ჩინჩალაძის, რკინიგზელ შ. მაჭარაშვილის, მემანქანე ზ. ბურჯანაძის და სხვათა შრომითს მოღვაწეობას. მათ კარგა ხანია გახსნეს 1977 წლის შრომითი ანგარიშები, ზოგი მათგანი ხუთწლიანი დავალების შესრულებას 2,5-3 წლის განმავლობაში ვარაუდობს.

მოწინავეთა შრომითი მაჩვენებლების დონეზეა კოლექტივის ასობით წევრი. ამატომაც არის, რომ წლის თერმეტ თვეში საწარმომ მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნა 225.576 მაღალხარისხოვანი მანგანუმი, სიიდანაც 6.367 ტონა ზეგეგმითია, შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 3,7 პროცენტით, გადაჭარბებით იქნა განაღდებული პროდუქციის ხარისხის ზრდის დავალება და თვითღირებულების შემცირებით დაზოგილია 140 ათასი მანეთი.

სურათზე: ხიღნალის რაიონის მოწინავე პროპაგანდისტთა ერთი ჯგუფი. (მარცხნიდან): ნ. შარმიაშვილი, თ. ათანელაშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, ო. კორაშვილი, ჯ. შანშაშვილი, ლ. ფილია, რ. მაზრეაშვილი, ვ. ხაჩიაშვილი და გ. თორლაშვილი.

ბ. გოგიჩაიას ფოტო.

გაიმართა ქალაქ თბილისის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა პარტიული აქტივის კრება. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის რაიკომების მდივნები, რაიისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, ადმინისტრაციულ ორგანოთა პარტიული ორგანიზაციების მდივნები, საქართველოს სსრ პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოს, იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები. კრებამ განიხილა საკითხი: „რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივა და ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ ორგანოთა ამოცანები დისციპლინის შემდეგომი განმტკიცების საქმეში“.

კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ინაურმა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ პარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიონის პირველი მდივანი ლ. მგალობლიშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი ჯ. მიქელაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი მ. ლეკვეიშვილი, საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე შ. მახარაძე, კომკავშირის ორჯონიკიძის რაიონის პირველი მდივანი ი. მენაღარიშვილი, ლენინის რაიონის პროკურორი მ. გიორგობიანი, რიგითი მილიციელი ვ. მოსემოდლიშვილი, სახალხო მოსამართლე, პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს პარტორგანიზაციის მდივანი ო. ბეგია, კიროვის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორი გ. ქოჩიაშვილი.

პარტიული აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ქალაქის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს, რათა ძირფესვიანად გარდაექმნათ თავიანთი საქმიანობა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების შესაბამისად, გააქტიურეს ბრძოლა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა და მათ კონკრეტულ მატარებელთა წინააღმდეგ, მთელ თავიანთ ძალღონეს ახმარენ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას, წარსული წლების ნეგატიურ მოვლენათა შედეგების აღმოფხვრას.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის დედაქალაქში დადებითი ძვრები დაისახა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, დანაშაულთა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის მუშაობაში.

ქალაქ თბილისის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობამ გააქტიურების უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის დადგენილება საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, რომელიც მოქმედების საბაჭოო-ეროვნული პროგრამა გახდა რესპუბლიკის ყველა კომუნისტისა და მისი ავანგარდის — თბილისის პარტიული ორგანიზაციისათვის.

პარტიული აქტივის კრებაზე ითქვა, რომ რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულმა თაოსნობამ დიდი როლი უნდა შეასრულოს იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, რომლებიც ჯერ კიდევ არის ქალაქ თბილისის ადმინისტრაციული ორგანოების ცალკეული რგოლებისა და უბნების მუშაობაში. გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს, კერძოდ, ქალაქის პროკურატურის საქმიანობა. სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვისადმი საერთო ზედამხედველობის განხორციელებაში სერიოზული ხარვეზებია. სუსტია პროდუქციის ხარისხისადმი ზედამხედველობა, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია. პროკურატურის ორგანოების პროფილაქტიკურმა მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს ფორმალიზმისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრას სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოების, საწარმოდაწესებულებების საქმიანობაში, უნდა გამოიჩეოდეს მაღალი მოთხოვნილებითა და პარტიულობით. საჭიროა ამაღლდეს პროკურატურის — ადმინისტრაციულ ორგანოთა სისტემის ამ უმნიშვნელოვანესი რგოლის როლი და აუტორიტეტი.

კრების მონაწილეებმა ილაპარაკეს, იმაზე, რომ ქალაქის შინაგან საქმეთა ორგანოების მოვალეობაა მიაღწიონ მოსახლეობის მომსახურების მაღალ კულტურას, მტკიცე სახელმწიფო წესრიგი დაამყარონ მილიციის საპასპორტო განყოფილებებში, სისხლის სამართლის სამძებრობაში, სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოებში, საგამომძიებო განყოფილებაში, სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაობაში, სასაბრუნო-საგუშაგო სამსახურის საგუშაგოებში და მარშრუტებზე.

კრებაზე განსაკუთრებით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შინაგან საქმეთა ორგანოების რიგების შეავსებას კომუნისტებითა და კომკავშირელებით, ქალაქის საწარმო-ორგანიზაციათა საუკეთესო წარმომადგენლებით.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან დაუცხრომლად ჩაუნერგონ ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომლებს ფორმალიზმისა და საქმის ბიუროკრატიული გაჯანსაღებისადმი შეუწყნარებელი დამოკიდებულება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, შეურიგებლობა შექრთამეებისადმი, დამტაცებლებისადმი, მომხვეჭელებისადმი, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებისადმი.

პარტიული აქტივის კრების მონაწილეებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი და მოიწონეს რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის პატრიოტული ინიციატივა, მოუწოდეს ქალაქ თბილისის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს იყვნენ სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის გადაქცევისათვის მომრაობის ავანგარდში, და მოუწოდეს საქართველოს სსრ ადმინისტრაციული ორგანოების ყველა მუშაკს ჩაებან ლაშქრობაში სოციალისტური დისციპლინის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის.

პარტიული აქტივის კრებამ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ პროკურატურის, სასამართლოს, იუსტიციის, შინაგან საქმეთა ორგანოების პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ყველა მუშაკი გაანაღდებენ თანმიმდევრულ ბრძოლას სოციალისტური დისციპლინის დონის შემდგომი ამაღლებისათვის, ყოველ ღონეს იხმარენ, რომ უთუოდ შეასრულონ ამოცანები, რომლებიც დასახეს სკკპ XXV ყრილობამ, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებამ. (საქინფორმი).

მეტალურგთა ინიციატივა — სახელმძღვანელოდ

ქალაქ თბილისის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა პარტიული აქტივის კრება

„ეკონომიკური“ ...

„ეკონომიკური“ ...

ფაქტები, პრობლემები

მსოფლიოს პულსი

ხალხები და უფლებათა კრების ხალხ ენტოები იუწყებიან

გენერალურმა ასამბლეამ მუშაობა დაამთავრა



ნიუ-იორკი, (საკდესი). მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXI სესიამ. იგი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო საერთაშორისო ცხოვრებაში, ცხადყო, რომ დაძაბულობის შენელება, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრება, სახელმწიფოთა საქმიანი თანამშრომლობის მოგვარება კვლავ მსოფლიოს თანამედროვე ვითარების მთავარ ტენდენციებად რჩება.

საყოველთაო აღიარებით, ახლანდელი სესია მიმდინარეობდა საერთაშორისო ურთიერთობაში არსებითი დადებითი ძვრების პირობებში, რაც განუყრელად აოის დაკავშირებული მსოფლიო ასპარეზზე საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების, პროგრესული და დემოკრატიული ძალების ავტორიტეტისა და გავლენის განმტკიცებასთან. სესიის შედეგებმა, რომელმაც მოიწონა საბჭოთა კავშირის ბევრი აქტუალური და კონსტრუქციული ინიციატივა დაძაბულობის შენელების პროცესის გასაღრმავებელად, ცხადყვეს, რომ საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკა, რომელიც სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებმა განსაზღვრეს, ერთა მსოფლიო გაერთიანების ფართო აღიარებას პოულობს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფონზე ნათლად მაღალი შეფასება მიეცა სსრ კავშირის წინადადებებს თანამედროვეობის ყველაზე მწვავე და გადაუდებელი ამოცანის — გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და განიარაღების ამოცანის გადაწყვეტის თაობაზე. გენერალური ასამბლეის საბოლოო პლენარულ სხდომებზე დელეგატებმა ერთსულოვნად მოიწონეს რეზოლუცია განიარაღების მსოფლიო კონფერენციის შესახებ, რომლის მოწვევის იდეა საბჭოთა კავშირმა წამოაყენა. ასამბლეა ხაზგასმულია რეზოლუციაში, კვლავ აცხადებს, რომ დარწმუნებულია „მსოფლიოს ყველა ხალხი საარსებოდ არის დაინტერესებული განიარაღების თაობაზე მოლაპარაკების წარმატებით, და რომ ყველა სახელმწიფომ უნდა შეიტანოს წელილი ამ მიზნის მიღწევის ღონისძიებათა განხორციელებაში“.

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში აღნიშნავენ, განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის თაობაზე საბჭოთა წინადადების მატერიალიზაცია ხელს შეუწყობდა კარდინალურ ძვრების გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების პრობლემების გადაწყვეტაში. როგორც ცნობილია, ასეთ კონფერენციაზე წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა სახელმწიფო.

ასამბლეამ აგრეთვე ერთსულოვნად მოიწონა რეზოლუცია იმის თაობაზე, რომ 1978 წლის მაის-ივნისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნიუ-იორკის შტაბ-ბინაში მოეწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური სესია განიარაღების შესახებ. ამ საკითხზე რეზოლუციაში განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ „გამალებული შეიარაღების განგრძობა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, აგრეთვე ნთქავს უზარმაზარ რესურსებს, რომლებიც მეტად საჭიროა ეკონომიური და სოციალური განვითარებისათვის“.

ასამბლეა, აღნიშნულია დოკუმენტში, დარწმუნებულია, რომ მშვიდობის უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ იმ გზით, თუ განხორციელდება ღონისძიებანი განიარაღების, კერძოდ, ატომური განიარაღების დარგში, რომლებიც ხელს უწყობენ საბოლოო მიზნის მიღწევას — ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს დაჭვემდებარებულ საყოველთაო და სრულ განიარაღებას.

სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ინიციატივით განიარაღების შესახებ რეზოლუციათა სერიის მიღებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ სულ უფრო მეტი სახელმწიფო ცნობს, რომ აუცილებელია პოლიტიკური დაძაბულობის შენელებასთან ერთად მოხდეს სამხედრო დაძაბულობის შენელება, განხორციელდეს განიარაღების ქმედითი ღონისძიებანი.

ეკონომიურ დარგში მთავარი მიღწევა იყო ის, რომ უკანასკნელმა პლენარულმა სხდომამ მოიწონა რეზოლუცია საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების საკითხებზე. დოკუმენტი ადასტურებს, რომ აქტუალურია დასკვნა, რომელსაც შეიცავს საბჭოთა მთავრობის განცხადება საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის გარდაქმნის შესახებ. ამ დასკვნაში ნათქვამია, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესმა წანამძღვრები შეუქმნა მსოფლიოს ყველა ხალხის საკეთილდღეოდ უმნიშვნელოვანესი ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტას. „განვითარებადი მსოფლიოს ზოგიერთი რაიონი, — ნათქვამია რეზოლუციაში, კლავენდებურად განიცდის უცხოეთის აგრესიასა და ოკუპაციას, აპარტეიდს, რასობრივ დისკრიმინაციასა და კოლონიურ და ნეოკოლონიურ ბატონობას, რომლებიც ძირითადი დაბრკოლებანია განვითარებადი ქვეყნების ეკონომიური განთავისუფლებისა და პროგრესის გზაზე, აგრეთვე მთავარ საფრთხეს წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის“.

სესიის შედეგების შეჯამებისას ასამბლეის თავმჯდომარემ ხ. შ. ამერასინგჰემ განაცხადა, რომ მან დადებითი წელილი შეიტანა კოლონიალიზმის, რასიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ, ხალხთა ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

სესიის დელეგატებმა უპირველესი ყურადღება დაუთმეს განიარაღების პრობლემას, რომლის მოწესრიგებაზე გადამწყვეტად არის დამოკიდებული საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება, თქვა ხ. შ. ამერასინგჰემ. საერთაშორისო გაერთიანება „მაყოფილებით შეხვდა ინიციატივას საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის დარგში და სხვა წინადადებებს, რომელთა მიზანია გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და განიარაღება.

ვენტაგონის შეკვეთებით

ვაშინგტონი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის უდიდესი კორპორაციები აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, რომელსაც სულ უფრო დიდი იჯარები და მზარდი მოგება მოაქვს მათთვის. განვლილ საფინანსო წელს, როგორც პენტაგონი იუწყება, მარტო ეგრეთწოდებული „დიდი დაკვეთების“ — 10 ათას დოლარამდე და მეტი — საერთო ღირებულება წინა წელთან შედარებით 1,1 მილიარდი დოლარით გაიზარდა და 42 მილიარდი შეადგინა.

ამ „მსუყე ღვეზლის“ — თვითმფრინავების, სარაკეტო სისტემების, ხომალდების მშენებლობაზე შეკვეთების მთავარი წელი ხელთ იკდო 100-მა წამყვანმა სამხედრო-სამრეწველო კონცერნმა.

პენტაგონის უდიდესი მოიჯარე ზედიზედ მეორე წელიწადია გახდა ოკიასმშენებლო კონცერნი „მაგდონელ-დუგლას კორპორეიშნი“, რომელმაც მიიღო 2,5 მილიარდი დოლარის შეკვეთები.

დიდი შეკვეთები — 1 მილიარდზე მეტი დოლარისა — მიიღეს ავრეთვე სხვა კომპანიებმა, რომლებიც წამყვანი სამხედრო მოიჯარეების სიის სათავეში არიან: „ლოკჰიდ �რაფტმა“, „ნორტროპ კორპორეიშნმა“, „ჯენერალ ელექტრიკმა“, „იუნაიტედ ტექნოლოჯი კორპორეიშ ნ მ ა“, „ბოინგ კომპანიმ“.

ამ ამად ამერიკის შეერთებულ შტატებში 1.033 კომპანიაა დაკავშირებული იარაღის წარმოებასა და ან გასაღებასთან.

კაბინეტი შედგენილია

ვაშინგტონი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩეულმა ჯ. კარტერმა დღეს დაამთავრა თავისი კაბინეტის შედგენა, რომელიც მოვალეობის შესრულებას 20 იანვარს დაიწყებს. მან პლეინსში (ჯორჯიის შტატი) გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ვაშინგტონელი იურისტი და პრეზიდენტი ლ. ჯონსონის ყოფილი სპეციალური თანაშემწე ჯოზეფ კალიფანო დანიშნულია ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად.

თეოდორ სორენსენი გახდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი. იგი იყო პრეზიდენტ ჯ. კენედის უახლოესი თანაშემწე.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი რესპუბლიკელთა მთავრობაში ჯ. შლესინჯერი დანიშნულია პრეზიდენტის თანაშემწედ ენერგეტიკის საკითხებში.

იაპონია — ღრმა კრიზისის შედეგი

ტოკიო, (საკდესი). იაპონიის მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავლსაჩინო მოღვაწე ტაკეო ფუკუდა დღეს აირჩიეს ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ და მის კანდიდატად პრემიერ-მინისტრის პოსტზე. იგი ორივე პოსტზე შეცვლის ტ. მიკის, რომელიც გადადგა, იკისრა რა პასუხისმგებლობა პარტიის დამარცხებისათვის პარლამენტის ქვედა პალატის ამასწინანდელ არჩევნებში. გადაწყვეტილება ფუკუდას არჩევის შესახებ მიიღეს ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატთა პარლამენტში გამართულ საერთო კრებაზე, რომელიც თავისი რწმენებულებებით უთანაბრდება პარტიულ ყრილობას. ახალ პრემიერს ოფიციალურად დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე სესია, რომელიც ხვალ იხსნება და სადაც მმართველ პარტიას ორივე პალატაში მხოლოდ უმნიშვნელო უმრავლესობა ჰყავს.

მოელიან, რომ ფუკუდა 25 დეკემბერს შეადგენს თავის მთავრობას.

დღეს კი ლიბერალ-დემოკრატთა მეორე თავლსაჩინო მოღვაწე მ. ოჰირა აირჩიეს ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის გენერალურ მდივნად.

5 დეკემბრის არჩევნებში მმართველმა პარტიამ 511 დეპუტატის მანდატის ნახევარიც კი ვერ მიიღო. მან აღადგინა თავისი უმრავლესობა ქვედა პალატაში მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას შეუერთდა 12 „დამოუკიდებელი“.

განაჩენი, რომელიც იაპონელმა ამომრჩევლებმა გამოუტანეს მმართველ პარტიას, გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილო იყო კონსერვატორთა ანტიხალხური პოლიტიკით, რომლებიც მსხვილი კაპიტალის ინტერესებს გამოხატავენენ. ხელისუფლების სათავეში ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის 20 წელიწადზე მეტი ხნის ყოფნა აღინიშნა ინფლაციის განუხრელი გადიდებით, უმუშევრობის ზრდით, ეკონომიკის არასტაბილურობით, ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო კავშირის განმტკიცებით. „ლოკჰიდის“ სკანდალურმა საქმემ, რომელმაც გამოამჟღავნა ფართო კორუფცია ქვეყნის მმართველ წრეებს შორის, მწვავე ბრძოლამ ძალაუფლებისათვის პარტიაში, ფრაქციულობამ პოლიტიკის შემუშავებისას კიდევ უფრო შეარყია ამომრჩეველთა ნდობა კონსერვატორებისადმი.

□

რასისტების ახალი დანაშაული

მაპუტუ, (საკდესი). ზიმბაბვეს პატრიოტული ფრონტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჯ. ნკომომ ხოლსბერიში გავრცელებულ განცხადებაში მოითხოვა ჩაის პლანტაციების 27 მუშის დახოცვის საქმის გულმოდგინე საერთაშორისო გამოძიება.

თავისუფლებისათვის მებრძოლთა ხელმძღვანელობის ცნობით, გასულ კვირას როდეზიის დამსჯელი არმიის ეგრეთწოდებული „მრავალტომობრივ ქვეგანყოფილებათა“ ავტობუსები, რომლებსაც ზიმბაბვეს პატრიოტთა ფორმა ეცვათ, თავს დაესხნენ აღმოსავლეთ როდეზიის ქალაქ მელსეტერის ახლოს მდებარე ჩაის პლანტაციას და დახოცეს 27 მუშა.

5 დეკემბერს მკვლელები „სელუს „სკაუტსის“ ქვეგანყოფილებიდან, რომელიც უშუალოდ ემორჩილება სოლსბერის უკანონო რეჟიმის მეთაურს სმიტს, მხეცურად გაუსწორდნენ კათოლიკე მისიონერთა ჯგუფს.

რამდენიმე დღის შემდეგ რასისტებმა უმტკალის მახლობლად დახოცეს კათოლიკე მღვდელი ე. კვანუ და მისი ცოლი. უცხოლობელი ფაქტების ზიკავლენით ხელისუფლენი იძულებული გახდნენ ეფიაბრებინათ როდეზიელი ჯარისკაცების მონაწილეობა ამ დანაშაულში.

სოციალიზმის ქვეყნებში

უნგრეთი

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი ბუდაპეშტი დღეს დიდი სამშენებლო მოედანია. სულ უფრო ფართოვდება ქალაქის ახალი საცხოვრებელი მასივების საზღვრები, დიდი მასშტაბით ხორციელდება კეთილმოწყობის სამუშაოები ძველ ცენტრში.

ახლახან დამთავრდა ახალი გასასვლელი თავისუფლების მოედანზე. თავისებური ფორმის 420 მეტრი სიგრძის გვირაბს (სურათზე ქვემოთ) აქვს ტრანსპორტის სავალი ნაწილი და ტროტუარები.



ეკვადორი

ეკვადორში დაიწყო ტორუნის ტრასის ახალი დიდი საკრანსპორტო არტერიის მშენებლობა. რამდენიმე წლის შემდეგ 12-კილომეტრიანი თანამედროვე მაგისტრალის წყალობით დედაქალაქის ჩრდილოეთი რაიონი არსებითად შეიცვლის სახეს. როგორც ფუნქციონალური, ისე საქალაქო მშენებლობის თვალსაზრისით. ტრასის მთავარი ელემენტია რამდენიმე ასეული მეტრის სიგრძის ხიდი (სურათზე ზემოთ). მას ექნება მანქანების სავალი რვა ზოლი.

ბულგარეთი

სოფიის ელექტრო და მოტოკარების ინსტიტუტში იქმნება ელექტრომობილების მთელი „ოჯახი“. მათი ტვირთამწეობა იქნება ერთი, ერთნახევარი, ორი და ორნახევარი ტონა.

სურათზე: ელექტრომობილი ელმო-1000. ამ მანქანამ პლოვდივის მე-18 საერთაშორისო ბაზრობაზე ოქროს მედალი დაიმსახურა.

მუშიდობის ძალების გამარჯვება

მსოფლიო საზოგადოებრიობა მიესალმება ლუის კორვალანის განთავისუფლებას

ნიუ-იორკი. ჩვენ, ამერიკელი კომუნისტები, გულითად მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მთავრობას ღონისძიებებისათვის ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანის გასათავისუფლებლად, უანგარო სოლიდარობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს, ნთქვამია აქ გამოქვეყნებულ ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში.

ჩვენი ძვირფასი ამხანაგის ლ. კორვალანის ხსნა იმის ახალი მაგალითია, რომ მსოფლიოში შეიცვალა ძალთა თანაფარდობა ყველას სასარგებლოდ, ვინც იბრძვის ეროვნული განთავისუფლებისათვის, ტირანიისა და ფაშიზმის წინააღმდეგ. მისი უშიშრობა და ვაჟკაცობა პინოჩეტის ხროვის დილეგებში აღფრთოვანებდა ჩილელ კომუნისტებს, რომლებიც ხელმძღვანელ როლს ასრულებენ ამ ქვეყნის პატრიოტთა თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ეს გამარჯვება აღფრთოვანებს ჩვენი ქვეყნის ხალხს ახალი ღონისძიებებისათვის ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებისათვის ჩილეში და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში, ხაზგასმულია განცხადებაში.

პარაგ. ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანის განთავისუფლება ჩილეს მშრომელების, ყველა დემოკრატის ბრძოლის შედეგია, რომლებმაც საერთაშორისო სოლიდარობის მხარდაჭერით მიაღწიეს იმას, რომ ფაშისტურმა ხუნტამ გაათავისუფლა ჩილელი კომუნისტების გამოჩენილი ხელმძღვანელი, ნთქვამია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აქ გავრცელებულ განცხადებაში.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ მოიწოდა მთელი მსოფლიოს მშრომელებსა და პროფკავშირებს კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოლიდარობის მოძრაობა ჩილეს სხვა პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებისათვის, ადამიანის უფლებების პატივისცემისათვის, ამ ქვეყანაში თავისუფლებისა და დემოკრატიის აღდგენისათვის.

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა და მთელმა ხალხმა ურრმესი კმაყოფილებით აღიქვეს ჩილელი ხალხის ერთგული შვილის ლ. კორვალანის განთავისუფლების ამბავი. ამ დღეებში მთელ რესპუბლიკაში იმართება საზოგადოებრიობის მიტინგები და კრებები, რომლებიც ეძღვნება საერთაშორისო სოლიდარობის გამაჯვების ზეიმს.

ლ. კორვალანის განთავისუფლებისათვის ბრძოლის წარმატებამ კვლავ ცხადყო, რომ საერთაშორისო სოლიდარობა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი გაცილებით უფრო ძლიერია ფაშისტურ დიქტატურაზე, აღნიშნულია იმ მიტინგის მონაწილეთა რეზოლუციაში, რომელიც გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძიმე მანქანათმშენებლობის უდიდეს საწარმოში — მაგდებურგის ე. ტელმანის სახელობის კომბინატში.

მაპუტუ. პინოჩეტის ხროვა, რომელიც აპირებდა გასწორებოდა ჩილელი ხალხის მამაც შვილს ლ. კორვალანს, წაადგა გადაულახავ დაბრკოლებას — მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომელმაც მტკიცე პროტესტი განაცხადა ჩილეს სამხედრო-ფაშისტური ხუნტის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ, წერს მოზამბიკის გაზეთი „ნოტიციასი“. ხუნტის დილეგებში ყოფნისას ლ. კორვალანმა გვიჩვენა ნიმუში სიმტკიცის და შეუდრეკელი მებრძოლისა, რომელიც მზად არის ბოლომდე იბრძოლოს ტირანიის წინააღმდეგ, ფაშიზმისაგან თავისი ხალხის განთავისუფლებისათვის.

ბაღდადი. კომუნისტური, პროგრესული ძალები, ყველა დემოკრატი უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ცნობას ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის განთავისუფლების შესახებ, წერს გაზეთი „ტორიკ აშ-შაბაბი“. ლუის კორვალანი, ხაზს უსვამს გაზეთი, გახდა უდრეკი ნების, სიმტკიცისა და რევოლუციური ოპტიმიზმის სიმბოლო არა მარტო კომუნისტებისათვის, არამედ აგრეთვე ყველასათვის, ვინც ფაშიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და პროგრესისათვის იბრძვის.

ესპანეთი

ფრინ ახალი სიძნელეებია

პრეზიდენტ ვ. ფისკარ დ'ესტენის ინტერვიუ

პარიზი, (საკდესი). 1977 წელი ადვილი წელი როდი იქნება, განაცხადა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვ. ფისკარ დ'ესტენმა საფრანგეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში, რომელიც ძირითადად ეკონომიურ პრობლემებს მიეძღვნა.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საფრანგეთისათვის სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს ფასების ზრდა, საფრანგეთის საქონლის კონკურენტუნარიანობის დაცემა საგარეო ბაზრებზე და ეროვნული ვალუტის შესუსტება. ამასთან მან ხაზი გაუსვა, რომ მთავრობა კვლავაც განახორციელებს „მკაცრი მომჭირნეობის“ გეგმას. დემოკრატიული პარტიები და პროფკავშირები აღნიშნავენ, რომ ეს გეგმა მიზნად ისახავს ქვეყნის წინაშე არსებული მწვავე ეკონომიური პრობლემების გადაჭრას შრომელი მასების ინტერესების ხარჯზე.

შეეხო რა საფრანგეთის საგარეო დავალიანების ზრდასა და მისი ბიუჯეტის დეფიციტს, პრეზიდენტმა თქვა, რომ ეს არ უნდა იწვევდეს განსაკუთრებულ შეშფოთებას. სხვა ქვეყნები, კერძოდ, ინგლისი და იტალია, თქვა მან, გაცილებით უფრო დიდ სიძნელეებს განიცდიან. სახელმწიფოს მეთაურმა მოუწოდა ფრანგებს არ მიეცნენ იმედგაცრუებასა და პესიმიზმს.

ეხება რა ფისკარ დ'ესტენის ინტერვიუს, აგრეთვე პრემიერ მინისტრ რ. ბარის ვამოსვლას ეურნალისტების წინაშე ეკონომიურ საკითხებზე, გაზეთი „ლუმანიტე“ წერს: მთავრობა მიუხედავად ფრანგი ხალხის პროტესტებისა, იპირებს კვლავ იაროს „მკაცრი მომჭირნეობის“ გაძლიერებისა და მოსახლეობის ფიზიკურ ელეობითი უნარის დაქვეითების გზით.

ლიგია: დამოუკიდებლობის კურსით

დღეს შესრულდა ლიგიის ქრაგთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების 25-ე წლისთავი

რთული, ძნელბედობით აღსავსე ისტორიული გზა განვლო ლიბიის არაბთა რესპუბლიკამ. მხოლოდ მეოთხედი საუკუნე გვაშორებს იმ დღეს, რაც ლიბიელმა ხალხმა ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის კოლონიურ მონობას დაღწია თავი და პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა. ეს მოხდა 1951 წლის 24 დეკემბერს. საფრანგეთსა და ინგლისს შორის გაყოფილი ქვეყანა მონარქიული რეჟიმის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანდა.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ლიბიის ნამდვილ დამოუკიდებლობას იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან. ინგლისლიბიის 1953 წლის და ამერიკა-ლიბიის 1954 წლის ხელშეკრულებით დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებს ეძლეოდათ უფლება ლიბიის ტერიტორიაზე ჰქონოდათ სამხედრო ბაზები და ჰყოლოდათ თავიანთი ჯარი. საკმარისია ითქვას, რომ იმხანად მარტო ერთ უილუფილდის ბაზაში ამერიკის 14 ათასი სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა, რომლებიც ექსტერიტორიალურობის სრული უფლებით სარგებლობდნენ.

ამას დაერთო ისიც, რომ რიცა 1950-იანი წლების შუა ხანებში ლიბიაში ნავთობის უდიდესი საბადოები აღმოაჩინეს, იგი უცხოური კაპიტალის მოძალეობის ობიექტად იქცა. ქვეყნის ტერიტორიის ობობას ქსელივით მოედვნენ იმპერიალისტური სახელმწიფოების ნავთობის მონოპოლიები. უკვე 1969 წლისათვის ლიბიის ნავთობის მოპოვების 87 პროცენტი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ჰოლანდიის და დასავლეთის სხვა ქვეყნების ნავთობის კომპანიების ხელთ იყო.

1969 წლის 1 სექტემბერს ქვეყნის რევოლუციურმა ძალებმა მეფის რეჟიმი დაამხეს და ხელისუფლებას სათავეში რევოლუციური სარდლობის საბჭო ჩაუდგა. პირველი ამოცანა, რაც ახალგაზრდა რესპუბლიკის წინაშე დაისახა, ეს იყო დასავლეთის პოლიტიკური თუ ეკონომიური ძალადობის აღმოფხვრა. ამ მხრივ გადაიდგა პირველი ნაბიჯებიც — 1970 წლისათვის გაუქმდა ინგლისისა და ამერიკის ბაზები. შემდეგ რევოლუციურმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება უცხოეთის ბანკების, საზღვარგარეთული კომპანიების უძრავი ქონების, უცხოელთა საკუთრებაში არსებული მიწის ფართობების ნაციონალიზაციის შესახებ. ნაციონალიზებულ იქნა აგრეთვე ყველა საბადო. უცხოეთის ნავთობის კომპანიების საკუთრების ბაზაზე შეიქმნა სახელმწიფო სექტორი. მთავრობის სპეციალური ბრძანებულებით საგრძნობლად შეიზღუდა კერძო კაპიტალის მოქმედების სფერო.

1969 წლის რევოლუციის შემდეგ განვლილ პერიოდში ლიბიელი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური ძვრები მოხდა.

ლიბიის არსებობის ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა უმაღლესი ეროვნული კონგრესის სხდომა, წლეულს იანვარში რომ გაიმართა. მან მიიღო ქვეყნის განვითარების ახალი ხუთწლიანი (1976-1980 წლები) გეგმა, რომლის მთავარი ამოცანაა სრული ეკონომიური დამოუკიდებლობის მიღწევა და მრავალდარგოვანი ეროვნული ეკონომიკის მტკიცე ბაზის შექმნა.

გათვალისწინებულია ეროვნული მრეწველობის განვითარებისათვის გამოიყოს ერთ მილიარდზე მეტი ლიბიური დინარი, რაც 50-ჯერ აღემატება ყოფილი მეფის მთავრობის მიერ თავისი არსებობის უკანასკნელ ხუთ წელიწადში ამავე მიზნით დახარჯულ თანხას. დაგეგმილია 53-მდე მსხვილი სამრეწველო საწარმოს აგება.

სოფლის მეურნეობის დარგში რევოლუციური მთავრობა მიზნად ისახავს უდაბური მიწების ფართო ათვისებას, მსხვილი სახელმწიფო მექანიზებული მეურნეობების შექმნას და საბოლოო ანგარიშით სასურსათო პრობუტებით ქვეყნის თვითუზრუნველყოფას.

ლიბიის რესპუბლიკის ეკონომიკის ძირეული გარდაქმნის განხორციელებაში ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია სოციალისტურ ქვეყნებთან და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება.

იგი ურთიერთპატივისცემის, თანასწორუფლებიანობის, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ თანმიმდევრული ბრძოლის ნიშნით ვითარდება.

ეს კიდევ ერთხელ თვალნათლივ ცხადყო საბჭოთა კავშირლიბიის მოლაპარაკებამ, რომელიც დეკემბერში, ჩვენს ქვეყანაში ლიბიის არაბთა რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის პოლკოვნიკ მუამარ კადაფის ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ყოფნის დროს გაიმართა.

როგორც მიღებულ კომუნიკეშია ნათქვამი „საბჭოთა კავშირისა და ლიბიის სწამთ, რომ იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და აგრესიის წინააღმდეგ არაბთა განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატების უმნიშვნელოვანესი საწინდარია არაბთა ერთიანობის განმტკიცება ანტიიმპერიალისტურ, პროგრესულ საფუძველზე და მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოებთან არაბ ხალხთა ურთიერთობის გაძლიერებასა და გაღრმავებას. ისინი აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი საკადრისი პასუხი გასცენ არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისათვის ზიანის მიყენების ყოველგვარ ცდას და თავიანთ მოვალეობად მიიჩნიათ ყოველნირად დაუჭირონ მხარი ამ მეგობრობის განმტკიცება-გაფართოებას“.

ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს მნიშვნელოვან დოკუმენტებს — ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებზე მოლაპარაკების ოქმს, შეთანხმებას საზღვაო ნაოსნობის შესახებ, კულტურული თანამშრომლობის 1977-1978 წლების პროგრამას.

ლიბიელი ხალხი დღეს განუხრელად ადგას ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის გზით განვითარების კურსს, რომლის მთავარი პრინციპია: „ხალხმა თვითონ უნდა განაგოს თავისი ბედი და თვითონ გადაწყვიტოს თავისი საქმეები“.

ბ. სამსონაძე.

ქრესა
ქადასტურებს
კვალი
ჩილეში ვიდის
ნიუ-იორკი, (საკდესი). ხულ ახალ-ახალი მონაცემები მოწმობენ, რომ ჩილელი პატრიოტის ორლანდო ლეტელიერის მკვლელობაში, რაც 21 სექტემბერს მოხდა ვაშინგტონში, ბრალი მიუძღვის პინოჩეტის ფაშისტურ ხუნტას. ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალურმა ორგანოებმა, წერს გაზეთი „ლოს-ანჟელეს ტაიმსი“, გამოარკვიეს, რომ ამ დანაშაულის ორგანიზაციისათვის სანქციებიდან შეერთებულ შტატებში მოგონილი სახელით ჩავიდა ვიღაც „მთავრობის“ მოხელე, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ჩილეს საიდუმლო პოლიციასთან. დანაშაულის უშუალო შემსრულებლებად ფაშისტურმა რეჟიმმა გამოიყენა კუბის კონტრრევოლუციური ნაძირალები, რომლებიც მოალალებული არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში.
გაზეთი აღნიშნავს, რომ არსებობდა ერთგვარი საერთაშორისო შეთქმულება ლეტელიერის წინააღმდეგ, რომელიც თავის გამოსვლებში შეერთებულ შტატებსა და ევროპაში მკაცრად ამხილებდა პინოჩეტის ხროვის დანაშაულობებს.

ინფორმაციის ცენტრი

სიახლენი



ეს აშენდა 1976 წელს

ქარბი საჩუქარი მიიღეს ქალაქ ჭიათურის მშრომელებმა — საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი რკინიგზის სადგური. თანამედროვე შენობის პირველ სართულზე გაიხსნა საბილეთო სალაროები, არის მგზავრთა მოსაცდელი დარბაზი, შემნახველი საკანი და მედპუნქტი. მეორე სართული უკავია დედათა და ბავშვთა ოთახს, რესტორანს.

სურათზე: ქალაქ ჭიათურის ახალი რკინიგზის ვაგზალი.

ა. მაჭავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წლითიწლობით მშვენდება და იზრდება მახარაძის რაიონის სოფელი მახარაძე. სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება მისი ტერიტორია, შენდება საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ნაგებობანი, ირგვება ასობით ხე.

ახლახან კოლმეურნეობაში „გზა კომუნიზმისაკენ“ აშენდა კულტურის სახახლე. კეთილმოწყობილ შენობაში მოთავსებულია კოლმეურნეობის გამგეობა, ბიბლიოთეკა, დეპუტატის ოთახი. თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი კინოდარბაზი, სადაც ჩვეულებრივ და ფართოეკრანიან ფილმებს უჩვენებენ.

სურათზე: კულტურის სახახლე სოფელ მახარაძის კოლმეურნეობაში „გზა კომუნიზმისაკენ“.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ღვაწლმოსილი მეცნიერი

პროფესორ ს. ნარიკაშვილის დაბადების 70-ე წლისთავის გამო

სახელოვანი მკვლევარი და მეცნიერი, პატიოსანი ადამიანი, პრინციპული, სასიამოვნო თანამოსაუბრე და მოჭალაკე — ასე იცნობენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ სერგი პაავლეს-ძე ნარიკაშვილს.

1930 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრაზე ასისტენტად დაიწყო მუშაობა. 1931 წელს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა დაიწყო აკად. ივ. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით.

1938 წელს ს. ნარიკაშვილი მიიწვიეს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ფიზიოლოგიის კათედრის გამგედ.

1937 წელს ს. ნარიკაშვილმა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რამდენიმე თვის შემდეგ იგი სამეცნიერო მივლინებით გაემგზავრა ლენინგრადში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ი. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, სადაც აკად. ლ. ორბელის კონსულტაციით მუშაობდა საკომტორო დისერტაციაზე, რომელიც ვერ დასრულა, რადგან ომი დაიწყო. 1941 წლის ივნისიდან 1943 წლის მაისამდე იგი მტერს ებრძოდა. დემობილიზაციის შემდეგ კი კვლავ საყვარელ საქმეს დაუბრუნდა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ი. პავლოვის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტში 1946 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, მალე მას პროფესორის წოდება მიენიჭა. 1961 წელს კი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს. იგი სკკპ წევრია 1943 წლიდან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა ჯერ სწავლულ მდივნად, შემდეგ — დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, ხოლო 1953 წლიდან 1968 წლის ბოლომდე იგი ამ დაწესებულებას ხელმძღვანელობდა.

პროფ. ს. ნარიკაშვილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თავის ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა წარმონაქმნების ურთიერთმოქმედების შემსწავლელ ლაბორატორიას ხელმძღვანელობს. მას გამოქვეყნებული ი ა ქვს 200-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, რომლებიც ზურგისა და თავის ტვინის მოქმედების ძირითად კანონზომიერებებს შეეხება.

მეცნიერმა დიდი წვლილი შეიტანა ზურგის ტვინის მოქმედების ზოგად ფიზიოლოგიურ კანონზომიერებათა შესწავლაში. ამ ჯგუფის შრომებიდან განსაკუთრებით საინტერესოა მის მიერ ზურგის ტვინის რეფლექსურ მოქმედებაზე თავის ტვინის ლეროს გავლენის შესწავლა. ეს შრომა ერთი პირველთაგანი იყო უკანასკნელი დროის გამოკვლევათა იმ ჯგუფიდან, რომელთა საფუძველზე შემდგომ ჩამოყალიბდა მოძღვრება ეგრეთ წოდებული რეტიკულური ფორმაციის დამაკავებელი გავლენის შესახებ. ამ შრომისათვის მას 1938 წელს ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა საკავშირო შეჯიბრებაში პრემია მიენიჭა.

ს. ნარიკაშვილის მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი ეძღვნება თავის ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა წარმონაქმნების მოქმედებისა და მათი ურთიერთგავლენის საკითხის კვლევას. ამ ხასიათის შრომების გარკვეული ნაწილისათვის 1963 წელს მას მიენიჭა ივ. თარხნიშვილის სახელობის პრემია.

1966 წლის ოქტომბერში თბილისში ს. ნარიკაშვილის ხელმძღვანელობით მოწყო სპეციალური საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე: „თავის ტვინის ქერქქვეშა წარმონაქმნების ქერქული რეგულაცია“. მის პროგრამულ მოხსენებებს მაღალი შეფასება მისცეს და ერთსულოვნად აღიარეს მეცნიერის ჯამოკვლეთა ორიგინალობა, სიახლე და დიდი ღირებულება თავის ტვინის მთლიანი მოქმედების გაგებაში.

ს. ნარიკაშვილი გულისხმიერი პედაგოგია, რომელმაც 45 წლის მოღვაწეობის განმავლობაში ბევრი სპეციალისტი და ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი აღზარდა და კიდევაც ზრდის. მისი ხელმძღვანელობით 50-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი და დისერტაცია შესრულდა.

პროფესორი ს. ნარიკაშვილი ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც იწევს. ოც წელზე მეტია, ი. სეჩენოვის სახელობის სსრ კავშირის ფიზიოლოგიური ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრია, იგი არის საკავშირო ჟურნალ „ნეიროფიზიოლოგიის“ სარედაქციო საბჭოს წევრი. ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული საერთაშორისო ჟურნალის „ფიზიოლოგია და ქცევა“ რეგიონული (საბჭოთა კავშირიდან) რედაქტორი და სხვ.

საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში ს. ნარიკაშვილის ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და სპატენი ნიშნის ორდენებით, მრავალი მედლით.

ახლაც ჩვეული ენერგიითა და ენთუზიაზმით შრომობს ს. ნარიკაშვილი, იგი კვლავაც ახლის ძიებაშია.

ე. მონიავა,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

ფუნდამენტური ნაშრომი

გამოვიდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მე-7 ტომი

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოუშვა მორიგი, მე-7 ტომი „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ (პროფესორ ი. კაჭარავას რედაქციით).

„ნარკვევების“ მე-7 ტომი მოიცავს პერიოდს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან —1921 წლის თებერვლიდან დიდი სამამულო ომის დაწყებამდე —1941 წლის ივნისამდე. იგი დაწერილია ფართო ისტორიოგრაფიულ და წყაროთმცოდნეობის ბაზაზე. აღტარება გამოიკვლინეს თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს, ერევნის, ბათუმის, სოხუმისა და ცხინვალის არქივებში დაცული დიდძალი დოკუმენტები და მასალები. გარდა ამისა, გათვალისწინებული და გამოყენებული საბჭოთა საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთის შესახებ არსებული გამოკვლევები, მონოგრაფიული და სხვა ხასიათის შრომები. (საქინფორმი).

ოქროს მედალი — ბათუმურ კატარღას

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმური „ვოლგის“ ტიპის წყალქვეშაფრთიანი კატარღა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წყლებს სერავს. „ვოლგა“ შეისყიდეს ამერიკაში, ინგლისში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და სხვა ქვეყნებში.

მეათე ხუთწლედის პირველ წელს ქარხნის კოლექტივმა „ვოლგა-275“ გაუმჯობესებული კატარღა ათთვისა დახურული სალონით. ეს კატარღა მოიწონეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბაზრობაზე. შემდეგ იგი გამოფენილი იყო იუგოსლავიის ბაზრობაზე, სადაც მან ოქროს მედალი დაიმსახურა.

წელიწადს ბათუმური კატარღები გაიგზავნა სირიაში, კანადაში, იუგოსლავიაში, ინგლისში, შვეიცარიასა და სხვა ქვეყნებში.

ახალი ლექსები

კარლო კალაძე

ასი წელი რომ ვიცოცხლო!

ციკლიდან — „სიმღერები“

ასი წელი რომ ვიცოცხლო, ასი წელი!
ნეტავ, ისე მეც თუ ვინმეს ვეყვარები —
როგორც მიყვარს
  მთების ლალი მწვერვალები,
მათი ყველა სტუმარი და მასპინძელი!

ყველგან ჩემი აღმართია ამ ხიდს იქით,
ხედავთ? ხეებს ეზო-ეზო,
  სოფელ-სოფელ?
მამებივით ახლაც ჩემზე ბაასობენ...
ბათუმამდე! დაწყებული ახალციხით!

ხან აქაა ჩემი დილა, ხან იქ, სადაც
ქვეყნის ბრწყინვა ვარაკვლავების ციაგს წვდება —
ჭოროხამდე
ათას გვირაბს მიაწყდება
ხევის წყალი, თან რომ წამყვეს ხალიხადაც!

წიაღს ეძებს ქვათახევის კალთა ვიწრო,
ლია ციხკარა — კლდე-ხალი და კლდე-ფრიალო!
ჩემს ქვეყანას
  როგორ უნდა ვეტრფიალო —
მზემ თუ ქედზე მაცდურივით გადამისწრო!

ფრთებს რომ გავშლი, ჩრდილი განა გზას აბნელებს —
მიყვარს მიწა...
  და ღრუბლების რღვევა-რღვევით
ქუდმოხდილი გადაცქერი ხოლმე ქვევით
ველებს — ჩემი ლაინერის დასაფრენებს!

მაშ პირდაპირ რად არ ვამბობ რაცა მტკივა,
რა გზით ვწვდები ამ სიყვარულს, რა ბილიკით, —
ძველს გულდაგულ ვიგერიებ
  და პირიქით —
ვგრძნობ სიახლეს, როცა ზეკარს გადავდივარ!

რომელ ნიშით აღინიშნოს კიდით-კიდე
სადაც ვიდექ,
  ალტაცებით სადაც ვდგეკარ...
საქართველოს ყინჩაუქრობ სწრაფვას ვგვარ —
ასი ხევი გავქერი და გადავხიდე!

„ცის ღამაყრობი სიმამაცის რიხი სხვაა!“ —
ვეტყვი მთვარის მეთვალყურე მეატომეს,
ჩემი გული კი
  წარღვნებმაც მიატოვეს —
ნამარი და ნაბრძოლი რიყის ქვაა!...

და ბინდ-ბუნდი მთის ამ გრდემლზე, ამ ალვებთან
უკანასკნელ მზესაც
  იქნებ ჩემთვის სვედდეს, —
ნიშად რუხი ქვა იქ დასდეთ ალალბედად
ერთხელ უცებ, სადაც გული შემიჩერდეს!

პივნები

ამ სიმღერის დარი იდგა გუშინ,
დარი დღესაც სიმს არ დამისველებს, —
აივნების ალალ სიყვარულში
კვლავაც მინდა შევეჯიბრო ძველებს!...

მაშ, ავუშვათ მწვანე ლერწი ვაზის
სარკმელების შუახაფოთლად, კვლავაც!

* * *

მაშ, დამშვენდეს კლდეს ქვიტკირი სახლის,
ისე, როგორც თბილისა-ქალაქს უნდა.
მეტეხს მტკვარი გულს ამიტომ ახლის —
რახანია თქვა აქ რაცა სურდა.

ქვის ჩუქურთმებს ბეჭედივით აზის
ვაზის მწვანე ფოთლის კვალი, კვლავაც!

* * *

მაშ, ვინ არის, რომ ლურსმანზე მკიდებს
დაირას და ჩონგურს, ხმლების მალლა!
დაირ-ტაში და თამაში თითებს
განა უფრო ნაკლებ უყვართ ახლა...

ახლაც, ერთი ხმა ვარ მე იმ დახის
და ბანდაბან შენ დაგეძებ, კვლავაც!

* * *

აივნების ჭრელ-ჭრელ გამოფენას
შაირ-სიტყვის ეშხით დავუბრუნდი.
გაუმარჯოს ჩემს გულს, ჩემს არსენას,
დავდივარ და დამდევს მტრედის გუნდი!

იქ ვერ მოვა მუსტაზიდი საზის,
სადაც დუდუკს ავაკვნესებ, კვლავაც!

* * *

მე ავაგე ეს ახალი ნიში,
თაღიც მინდა ჩემად ჩამითვალო, —
ცად გაბარღნილ ბუდეშორის ჩრდილში
გადმოადექ თბილის-ქალაქს, ქალო!

აბა სარკე, სარკე სავსე თასის,
შიგ ჩემს ღიმილს გავულიმებ, კვლავაც!

* * *

დე, მოედოს ქალაქს ახალ ამბად
ხარბი სიტყვით რასაც ვნატრობ, რაც მსურს!
შენ სიზმარში გაიგონებ ალბათ,
აქ რომ ხმალში გამოვაწვეთ წარსულს!

შენ ხარ, შენ ხარ, ლამაზ ღამის და ცის
შემაშფოთლად მოგონილი, კვლავაც!

* * *

დე, შეაკრთოს შენმა თვალის შუქმა
ეგ სარკმელი ოდნავ გუგა-ვიწრო,
გაგაღვიძოს ხმლების ჩახაჩუხმა,
გადმოგეხედო და ორივე გვიცნო —

თქვა: — აივანს შემოჩვეულ ვაზის
შაიშური შემომეხმა კვლავაც!

ჭადრაკი

ა. კარპოვი — ჩემპიონი

გადადებული პარტიების დამთავრებისას გაუთვალისწინებელი ნახევარი ქულა დაკარგა პეტროსიანმა. მან, მართალია, ბოლომდე მიიყვანა უპირატესობა (ზედმეტი ხარისხი) რომანიშინთან, მაგრამ იძულებული გახდა ყაიმს დასჯერებოდა დორფმანთან. ორ პარტიას ამთავრებდა ვაპანიანი. იგი ყაიმზე შეუთანხმდა კუპრეიჩიკს და პოლუგაევსკის, ამასთან უკანასკნელ პარტიაში ვერ გამოიყენა უპირატესობა. ტაიმანოვმა სძლია ზახაროვს, თავი დააღწია უკანასკნელ ადგილს და გაუსწრო ერთბაშად ორ მონაწილეს — კუპრეიჩიკსა და ზახაროვს. ზახაროვმა მოუგო რაშკოვსკის, ცეშკოვსკი და სვეშნიკოვი ყაიმზე შეთანხმდნენ.

გუშინ უკანასკნელ, მეჩვიდმეტე ტურში ყურადღების ცენტრში იყო სამი პარტია: კარპოვ-ცეშკოვსკის, სმისლოვ-პეტროსიანისა და ტალბალაშოვის შეხვედრები. სწორედ მათ უნდა გადაწყვიტათ პირველი ადგილების ბედი, მაგრამ ამით როდი ამოიწურებოდა ბოლო ტურის პრობლემები. თავისი მნიშვნელობა ჰქონდა დანარჩენ 6 პარტიასაც, რომელთა შედეგს უნდა გადაწყვიტა თუ ვინ რჩებოდა უმაღლეს ლიგაში, ვინ გადადიოდა პირველ ლიგაში და ვინ გამოდიოდა უკანასკნელ სამეულში, ე. ი. პირველ ლიგაში თამაშის უფლებასაც ჰკარგავდა.

კარპოვმა სძლია ცეშკოვსკის და 17 შესაძლებლიდან 12 ქულით პირველად მოიპოვა საბჭოთა კაპიტრის ჩემპიონის წოდება. 11 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა ბალაშოვი. მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ტალთან.

გ. გამრეკელი.

10 საუკეთესო

შეჯამდა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული, რიგით მეათე ანკეტის შედეგები რესპუბლიკის 10 საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენებლად.

ეი სპორტული 1976 წლის ლაურიატები: ვიქტორ სანეევი, ლევან თედიაშვილი, დავით უიფიანი, ალექსანდრე ანპილოგოვი, დავით კვაჭაძე, ალექსანდრე მეტრეველი, თეიმურაზ კაკულია, როინ ხარშილაძე, მანუჩარ მაჩაიძე, ავთანდილ მაისურაძე.

მოკლედ

ფეხბურთი. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ 1976 წლის სეზონის შედეგების მიხედვით დაამტკიცა 33 საუკეთესო ფეხბურთელის სია, რომელშიც 4 ქართველი ფეხბურთელია შეყვანილი — თბილისის დინამოელები შოთა ხინჩაგაშვილი, დავით უიფიანი, მანუჩარ მაჩაიძე და ვლადიმერ გუცაევი.

კალათბურთი. გუშინ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ვილნიუსში „სტატბა“ დამარცხდა რიგის სკა-სთან — 74:80.

კრივი. მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის ახალოლუტური პირველობის მეოთხეფინალური შეხვედრები. სენსაციას წარმოადგენდა შარშანდელი ჩემპიონის, მოსკოველი პეტრე ზაივის დამარცხება თანაგუნდელ ვიქტორ ტერეშჩენკოსთან. დიდი ინტერესით მოელოდნენ დედაქალაქელი მოკრივეების ეკგენი გორსკოვისა და მიხეილ სუბოტინის ორთაბრძოლას. ე. გორსკოვმა პირველსავე რაუნდში ნოკაუტით მოიგო ბრძოლა.

ჭადრაკი. ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენში მიმდინარე მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატზე ჭაბუკთა შორის მეორე გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა მოჭადრაკემ — ალმა-ათელმა ევგენი ვლადიმიროვმა, ამჯერად — დანიელ კამპორასთან (არგენტინა).

შაში. ჰოლანდიაში მიმდინარეობს მსოფლიოს ჩემპიონატი ქალთა შორის. შესანიშნავად აიღო სტარტი მოსკოველმა ელენა მიხაილოვსკაიამ, რომელმაც ზედიზედ 5 პარტია მოიგო.

ჰოკეი. ჩეხოსლოვაკიაში სტარტი აიღო პირველმა მსოფლიო ჩემპიონატმა ახალგაზრდულ გუნდებს შორის. გაიმართა პირველი მატჩები. ფინეთის ნაკრებმა დაამარცხა აშშ-ის გუნდი — 6:3. საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელ ჰოკეისტთა შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 4:0 საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ.

თხილამურები. ალმა-ათის მახლობლად, ჩიმბულაკში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სამგზიდში. ქალთა შორის გაიმარჯვა 17 წლის სტუდენტმა ნადეჟდა პატრაკეევამ („ტრუდი“, მოსკოვის ოლქი). ვაჟებში — ვ. სინეტოვმა („სპარტაკი“, პეტროპავლოვსკ-კამჩატსკი).

რ. ა. კვირკველიას დამძრძალავი კომისიის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა რ. ა. კვირკველიას დამძრძალავი კომისია ფ. ა. ანანიაშვილის თავმჯდომარეობით.

რ. ა. კვირკველიას დამძრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ნ. მ. კოსტიანოი



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს უეცრად გარდაიცვალა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯავშანსატანკო სამსახურის უფროსი, ტექნიკური ჯარების სარეზერვო-ინჟინერალ-მაიორი ნიკოლოს მიხეილის-ძე **კოსტიანოი.**

ნ. მ. კოსტიანოი დაიბადა 1917 წელს კიევის ოლქის ქალაქ ბროვარში გლეხის ოჯახში. საბჭოთა არმიაში გაწვეულ იქნა 1939 წელს და გაიარა იქ გზა წითელარმიელიდან გენერალ-მაიორამდე, დიდი სამამულო ომის წლებში ნ. მ. კოსტიანოი ომის პირველიდან უკანასკნელ დღემდე იმყოფებოდა მოქმედ არმიაში. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში გამოიჩინა მაღალი ორგანიზატორული თვისებები და პირადი მამაცობა.

ყველგან, სადაც კი გზავნიდა მას კომუნისტური პარტია, რომლის წევრიც იყო 1943 წლიდან, ნ. მ. კოსტიანოი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა დავალებულ საქმეს, მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას ახმარდა საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას საქმეს.

ოც წელიწადზე მეტხანს იმსახურა ნ. მ. კოსტიანოიმ ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქში. მას ყოველთვის ახასიათებდა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა, მაღალი პროფესიული ოსტატობა, ადამიანებისადმი გულისხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულება.

სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა ნ. მ. კოსტიანოის დამსახურებას. იგი დაჯილდოებული იყო საბრძოლო წითელი დროშის, სამამულო ომის I და II ხარისხის, წითელი ვარსკვლავის, „შეიარაღებულ ძალებში სამშობლოსადმი სამსახურისათვის“ III ხარისხის ორდენებით და ბევრი მედლით.

კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის ნიკოლოს მიხეილის-ძე კოსტიანოის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ამ ადამიანთა გულში, რომლებიც კარგად იცნობდნენ მას და მასთან ერთად მუშაობდნენ.

პ. ვ. მელნიკოვი, ა. მ. ოვერჩუკი, ს. ი. ვარმჩენკო, ა. მ. სოროჩენკო, ბ. ნ. ვინოგრადოვი, გ. უ. დოლნიკოვი, დ. გ. შარუდნევი.

ტელევიზია

24 დეკემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „ბავშვებს — ცხოველების შესახებ“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 11.00—სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ცეცხლოვანი ხიდი“ (II სერია) ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — დოკუმენტური ფილმი „მარადიული ჩრდილოეთი“, 17.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „არჩილ კერესელიძე“, 18.50 — განცხადებები, 18.55 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა, 19.25 — „კომუნისტი, ინიციატივა“, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — კონცერტი, 20.55 — „ჩვენი ბიოგრაფია, 1924 წელი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ეს ტერადა და თანამედროვეობა. ფერადი გამოსახულებით (მეორე გადაცემა), 23.30 — ფინალური მატჩი კრივში საბჭოთა კავშირის ალსოლუტური ჩემპიონის წოდებაზე ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — სტუდენტთათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია, 18.50 — ნახატი ფილმი „ბიმი, ბამი, ბომი და მგელი“, 19.10 — სტუდენტთათვის — უმაღლესი მათემატიკა, 19.55 — განცხადებები, 20.00 — დოკუმენტური ფილმი „ქვეყანა და მეცნიერება“, 20.50 — მხატვრული ფილმი „ხაფანგი“.

25 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.35 — ა. კერესელიძე — ნაწყვეტები ოპერა „ბაში-აჩუკიდან“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთ „კრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — „ეკრანის მეოდიები“, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 12.00 — საუბარი „დედამიწაზე მტკიცე მშვიდობისათვის“, 12.15 — ა. დვორჟაკი — სიმფონია „ახალი სამყაროდან“, 13.15 — მღერის საქართველოს სახელმწიფო კაპელა, 13.30 — გაზეთ „კრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.45 — ი. ტუსკია — საორკესტრო პიესები, 15.00 — „მხიარულ ტალღაზე“, 17.15 — ბავშვებისათვის — კონცერტი-საუბარი პ. ჩაიკოვსკის „წელიწადის დრონი“, 18.10 — ქართული ხალხური მუსიკა, 18.45 — ფანტაზიები საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების თემებზე, 19.00 — რადიოჟურნალი „ადამიანი და კანონი“, 20.00 — კონცერტი ა. ბალანჩივაძის ნაწარმოებებიდან, 21.00 — „ძალისპირული“, 21.15 — სიმღერები ე. პიაფის შესრულებით, 21.30 — ახალგაზრდობისათვის — „შეხვედრა ჩვენი გადაცემის გმირებთან“, 23.30 — უკრავს ე. ვირსალაძე.

თეატრები

24 დეკემბერი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **დონ კიხოტი;** კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **გმირთა ვარამი;** ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **უარამანს ქალი მოუკვანს** (პრემიერა); მინიატურების სახელმწიფო — **ნაპრები** (განახლებული დადგმა).

ეკონომიკა

გუშინ 13 საათზე დასავლეთ საქართველოში ყველგან მშრალი ამინდი იდგა. დაბლობ რაიონებში 6-11, მთებში 2-6 გრადუსი სითბო აღინიშნა,

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში თოვლ-ბუქაი იყო, ბორჯომ-ბაკურიანის ხეობაში მშრალი ამინდი იდგა. ყველაზე მეტი სითბო — 5 გრადუსი ახალციხეში აღინიშნა. დანარჩენ დაბლობ რაიონებში 1-5 გრადუსი სითბო, მთებში ამდენივე გრადუსი ყინვა იყო.

გუშინ 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 3 გრადუსს სითბოს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში მოსალოდნელია წვიმა, რიონის ხეობაში აღმოსავლეთის ქარი იქროლებს, დაბლობ რაიონებში 7-12, მთებში ნული-5 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში მოსალოდნელია მცირე ნალექი, ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 1-6 გრადუსი სითბო, მთებში ნული-5 გრადუსი ყინვა.

თბილისში მოსალოდნელია უმნიშვნელო ნალექი, ტემპერატურა 3-5 გრადუსი სითბო.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სკკპ წევრი 1929 წლიდან, ძველი პარტიული და სამეურნეო მუშაკი, სამამულო ომის მონაწილე, პერსონალური პენსიონერი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

რაფიელ არტემის-ძე კვირკველია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო იუწყება, რომ გარდაიცვალა სახალხო განათლების დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი

ელენე ვლადიმერის ასული ბუაჩიძე-აბაშიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 24, 25 XII 7 ს., გამოსვენება 26 XII 3 ს. ბარნოვის ქ. 109.

მშრომელთა დეპუტატების მცხეთის რაიხალბჭოს აღმასკომი, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და მცხეთის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წილკნის ექსპერიმენტული მეურნეობის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი

სერგო ვასილის-ძე თოხვაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

არდადეგები

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახლა დაძაბული დღეებია. მასწავლებლები მეორე მეთოთხედის ნიშნებს აჯამებენ. მოსწავლეები — მეოთხედში გაწეული შრომის შედეგს ამჯობინ.

30 დეკემბერს სკოლებში არდადეგები დაიწყება. ჩვენმა მოსწავლე ახალგაზრდობამ ჯარად რომ დაისვენოს. საქართველოს რესპუბლიკური პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს აკკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ მიიღეს ერთობლივი დადგენილება 1976-1977 სასწავლო წლის ზამთრის არდადეგების პერიოდში ბავშვთა შორის კულტურულ-მასობრივი და გამჯანსაღებელი მუშაობის შესახებ. ამ დღეების შინაარსიანად და საინტერესოდ წარმართვისათვის სპეციალური ერთობლივი დადგენილება მიიღეს აგრეთვე თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და საქართველოს აკკკ თბილისის კომიტეტმა.

ათასობით მოსწავლე მოიცხენს ნაირფერად ანთებულ საახალწლო ნაძვისხესთან თბილისის სპორტის სასახლეში, თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში. თბილისის სახელმწიფო ცირკში, რკინიგზელთა და გორკის სახელობის კულტურის სახლებში, ორკონიკიძის, გამარჯვებისა და სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკებში. ნაძვისხეები მოიწყობა ადგილთა ბაფუმში, სოხუმში, ცხინვალში, ქუთაისში, ფოთში, რუსთავში, ბორში, ჭიათურაში, ზესტაფონში და სხვ.

მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ საახალწლო დღესასწაულებსა და ღილებში, სადაც ისინი შეხვდებიან მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებს, მრეწველობის მოწინავეებს, სოფლის მშრომელებს, სოციალისტური შრომის გმირებს, საბჭოთა მეომრებს.

არდადეგების დღეებში მოსწავლეებისათვის მოეწყობა 12-დღიანი გამაჯანსაღებელი პიონერული ბანაკები, ასპარეზობანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ტურისტული ლაშქრობები და ექსკურსიები საბჭოთა ხალხის საბრძოლო და რევოლუციური დიდების ადგილებში, სპეციალური საახალწლო რადიო და ტელევადაცემები, ბავშვთა ნახატებისა და ნორჩ ფოტომოყვარულთა XVI რესპუბლიკური გამოფენა და სხვა საინტერესო ღონისძიებანი.

არდადეგების დაწყებამდე რამდენიმე დღე დარჩა. მეცადინეობა 29 დეკემბერს, ბუკეთილების შემდეგ შეწყდება. საკლასო ოთახებსა და დერეფნებში დროებით დუმილი დაისადგურებს.

11 იანვარს მესამე მეოთხედის დაწყების მაკნე ზარი აწკრიალდება და ხალისიანი მოსწავლეები კვლავ მერხებს მიუსხდებიან.

ბ. დურგლიშვილი.

კომუნისტი 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09. პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10 განუოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის —